F-193
1966.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი — ივნისი

1966 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Г-3069

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1966 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

48. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 მარტის № 213 დადგენილების გაუქმების შესახებ.
49. ფეტვის, საკვები ქერის, შვრიის, სიმინდისა და ბარდის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების ამაღლების შესახებ.
50. სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების შესახებ.
51. საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

52. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს იმ მოძრავი მექანიზებული კოლონებისა და სამრეწველო საწარმოებისათვის გარდამავალი წითელი დროშების და ფულადი ჯილდოების დაწესების შესახებ, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვებენ.
53. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცების შესახებ.

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

54. საქართველოს სსრ-ში კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარდმიდამო ნაკვეთებით სარგებლობის წესებში ზოგიერთი დამატების შეტანის შესახებ.
55. იმ საბუთების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე.
56. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
57. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
58. მოსახლეობაში ბოსტნეულის ნამეტის შესყიდვის შესახებ.
59. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
60. იმის შესახებ, რომ დაიდოს მოსახლეობასთან ხელშეკრულებანი ხილის შესყიდვის თაობაზე და გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის დაინტერესება სახელმწიფოსათვის თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის მიყიდვის გადიდებით.
61. საქართველოს სსრ თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის სახელმწიფო შესყიდვის 1966—1970 წლების გეგმებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის შესყიდვის წესის დაზუსტების შესახებ.
62. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში აშენებულ საუკეთესო საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა ყოველწლიური კონკურსების ჩატარების შესახებ.
63. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
64. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

48 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 მარტის № 213 დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 მარტის № 213 დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტის შექმნის შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 10 მაისი № 293.

49 ფეტვის, საკვები ქერის, შვრიის, სიმინდისა და ბარდის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების ამაღლების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 18 ივნისის № 464 დადგენილება „ფეტვის, საკვები ქერის, შვრიის, სიმინდისა და ბარდის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების ამაღლების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს და სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს და სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს ფართოდ განმარტონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ფეტვის, საკვები ქერის, შვრიის, სიმინდისა და ბარდის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების ამაღლების შესახებ“ და ამ საფუძველზე უზრუნველყონ აღნიშნული პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდება და მათი შესყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 28 ივნისი, № 380.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 464

1966 წლის 18 ივნისი

მოსკოვი, კრემლი

ფეტვის, საკვები ქერის, შვრიის, სიმინდისა და ბარდის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების ამაღლების შესახებ

იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება ბურღულისა და მარცვალფურაჟის კულტურებზე და შემდგომ წახალისდნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაწესებული გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის გადიდებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გავრცელდეს, 1966 წლის მოსავლიდან დაწყებული, იმ ფულადი წანამატის გაცემა მოქმედი შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების 50 პროცენტის ოდენობით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 1 აპრილის № 250 დადგენილებით ხორბლისა და ჭვავის ზეგეგმითი შესყიდვისათვის,—ფეტვსა, საკვებ ქერსა, შვრიასა, სიმინდსა და ბარდაზე.

დაწესდეს, რომ აღნიშნული ფულადი წანამატი ფეტვისა, საკვები ქერისა, შვრიისა, სიმინდისა და ბარდისათვის მიეცემა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა მეურნეობებს იმ მარცვლის რაოდენობისათვის, რაც გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიდულია შესაბამისი კულტურის შესყიდვის დაწესებული გეგმის გადამეტებით.

2. იმ ფეტვის, საკვები ქერის, შვრიის, სიმინდის და ბარდის შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების 50-პროცენტიანი წანამატი, რომლებსაც გეგმის გადამეტებით შეისყიდიან პურეული პროდუქტების საწარმოები და პუნქტები, მიეკუთვნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალიზებულ ანგარიშს მარცვლის და ზეთოვანი კულტურების თესლის ერთიან საანგარიშსწორებო ფასებსა და შესასყიდ (ჩასაბარებელ) ფასებს შორის განსხვავების რეგულირებისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს აანაზღაუროს საკავშირო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე ამ თანხების დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნული დამატებითი გაცემა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 მარტის № 223 დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ბრეჟნევი.**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

50 სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 14 აპრილის № 284 დადგენილება „სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის აღმასკომს და რაიაღმასკომებს.

2. გაუქმდეს ყველა წინათ მიღებული გადაწყვეტილება, რომლებიც შეიცავენ დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების შეზღუდვას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 28 ივნისი, № 381.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 284

1966 წლის 14 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

სოფლის მეურნეობაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დგენენ:

1. გაუქმდეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 22 ოქტომბრის № 1135 დადგენილება „კოლმეურნეობებთან ისეთი სამრეწველო საწარმოების უკანონოდ მოწყობის შესახებ, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან“ და 1939 წლის 29 აპრილის № 588 დადგენილება „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია „კოლმეურნეობების მიერ იმ სამრეწველო საწარმოების ადგილობრივი სახელმწიფო კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის გადაცემის წესის თაობაზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან“ (სსრკ დადგ. კრ., 1939 წ. № 30, მუხ. 203).

დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოამზადონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი სსრ კავშირის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ, რომლებიც შეიცავენ დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების შეზღუდვას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

2. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებს და საოლქო აღმასკომებს გაუქმონ გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეიცავენ დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების დაუსაბუთებელ შეზღუდვას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ბრეჟნევი.**	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

51 საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ

(ამონაკრები)

„საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 მაისის № 372 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შემოღებულ იქნას 1966 წლის 1 ივლისიდან კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურება (ფულადი და ნატურით), საბჭოთა მეურნეობების შესაბამისი კატეგორიების მუშაკთა სატარიფო განაკვეთების საფუძველზე.

2. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციები, რომლებიც შეიმუშავა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და შეთანხმებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დაეხმარონ კოლმეურნეობებს გამომუშავების ახალი ნორმების დამტკიცებაში, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, გამომუშავების იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებენ საბჭოთა მეურნეობებში ანალოგიურ სამუშაოებზე, იმ ანგარიშით, რომ 1 ივლისიდან კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება ხდებოდეს ახალი ნორმებით და საბჭოთა მეურნეობების სატარიფო განაკვეთებით.

4. საბჭოთა მეურნეობების შესაბამის კატეგორიათა მუშაკების სატარიფო ნაკვეთების მიხედვით კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურების (ფულადი და ნატურით) უზრუნველყოფის მიზნით, დაევალოთ რაიაღმასკომებს განსაზღვრონ კოლმეურნეობებში მოთხოვნილება სახელმწიფო გრძელვადიან კრედიტებზე შრომის ასანაზღაურებლად და რაიაღმასკომების მიერ განხილული და დამტკიცებული კოლმეურნეობათა განაცხადები, მიმდინარე წლის 15 ივლისამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურ კანტორას.

საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურმა კანტორამ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რაიონებს შორის კრედიტების გადანაწილების შესახებ.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა საჭირო შემთხვევებში გადაანაწილონ გრძელვადიანი კრედიტები რაიონის კოლმეურნეობებს შორის.

5. დაევალოთ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს:

ა) ფართოდ განუმარტონ ყველა კოლმეურნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, როგორც იმის ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხატულება, თუ როგორ ზრუნავენ პარტია და მთავრობა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის;

ბ) მიიღონ უაღრესად გადამწყვეტი ზომები დებიტორული დავალიანების გადახდევინებისათვის, გაწეული შრომის გაუთვალისწინებლად კოლმეურნეთათვის ფულის მიცემის აღკვეთისათვის, გამოძებნონ კოლმეურნეობებში ყველა შესაძლებელი რესურსი და განახორციელონ სახსრების ხარჯვის უმკაცრესი მომჭირნეობა იმ ანგარიშით, რომ კოლმეურნეობებმა ძირითადად საკუთარი სახსრებით უზრუნველყონ კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურება.

6. სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებმა დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს იმ მხრივ, რომ:

ა) შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებანი ყველა კოლმეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმებში;

ბ) შეიმუშაონ და მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე თვითეულ კოლმეურნეობაში დაამტკიცონ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე დებულება კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების შესახებ.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეკვეთით სამი თვის ვადაში გამოსცეს ქართულ და რუსულ ენაზე საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელო მასალები კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შრომის ანაზღაურების შესახებ.

8. გამოეყოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზემოაღნიშნული საჭიროებისათვის 10 ტონა ქაღალდი.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად, შეიმუშაოს 1966 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გამომუშავების სანიმუშო ნორმები ყველა სახის სამუშაოთა მიხედვით.

10. კოლმეურნეობებში შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღებასთან და კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდებასთან დაკავშირებით, დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გადიდდეს საცალო საქონელბრუნვა სახალხო მოხმარების საქონლის ზეგეგმითი გამოშვების ხარჯზე.

11. განემარტოთ კოლმეურნეობებს, რომ შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღების შემდეგ მნიშვნელობას კარგავს წესი, რომლის შესაბამისად კოლმეურნეებს დამატებით ეძლეოდათ გეგმის ფარგლებში მოწეული მოსავლის გარკვეული პროცენტი (გარდა ერთი კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფისათვის 10 და 6 კაპიკი წანამატისა), და რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს დამატებითი საზღაური აძლიონ კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო კულტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამ ბოლო 4-5 წლის გეგმების ან საშუალო დონის გადაჭარბებისათვის.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიაღმასკომებს და სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს კონკრეტული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღებაში და ამ საფუძველზე მიაღწიონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემდგომ გადიდებას და კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 27 ივნისი № 384.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

52 საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს იმ მოძრავი მექანიზებული კოლონებისა და სამრეწველო საწარმოებისათვის გარდამავალი წითელი დროშების და ფულადი ჯილდოების დაწესების შესახებ, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვებენ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მიერ სასოფლო მშენებლობისა და პროდუქციის გამოშვების გეგმების წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების საქმეში დახმარების გაწევის მიზნით, დაწესდეს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით, მეორე და მესამე ფულადი პრემიები, რომლებიც მიეცემა მოძრავი მექანიზებული კოლონების სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საუკეთესო კოლექტივებს, აგრეთვე ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით და ერთი მეორე ფულადი პრემია — სამრეწველო საწარმოებისათვის.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და მშენებლობისა და საშენი მასალების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს განსაზღვრონ ყოველ ცალკე შემთხვევაში ფულადი პრემიების ოდენობა დასაჯილდოებელ ორგანიზაციებში არსებულ მუშაკთა საერთო რაოდენობის საფუძველზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 11 აპრილის № 232 დადგენილების შესაბამისად.

3. სოციალისტური შეჯიბრების პრემიები გაიცეს ზეგეგმითი მოგების ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირების იმ ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რასაც საწარმოები მიიღებენ კალენდარული წლის დამდეგიდან.

4. დაწესდეს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მოძრავი მექანიზებული კოლონებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების პირობები, დანართის თანახმად.

5. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და მშენებლობისა და საშენი მასალების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს დააწესონ გარდამავალი წითელი დროშა ფულადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიებით საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა საუკეთესო კოლექტივებისათვის, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვებენ, და დაამტკიცონ მათთვის სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 4 ივნისი, № 338.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფესიულ კავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს 1966 წლის
4 ივნისის № 338 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მოძრავი მექანიზებული კოლონებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

ახორციელებენ რა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიად ამოცანებს, მიღებულს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ, იმ მიზნით, რომ წარმატებით შესრულდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმები, ობიექტების დანიშნულ ვადაში და ვადამდე ამოქმედების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების დავალებანი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო და მშენებლობისა და საშენი მასალების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი აწყობენ სოციალისტურ შეჯიბრებას როგორც იმის საშუალებას, რომ გაფართოვდეს შემოქმედებითი ინიციატივა წარმოების დამატებითი რეზერვების გამოძებნის საქმეში, გავრცელდეს საუკეთესო კოლექტივების მიერ დაგროვებული გამოცდილება, ფართო მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებაში სამინისტროს მოძრავი მექანიზებული კოლონებისა და სამრეწველო საწარმოების ყველა კოლექტივმა.

სამინისტროს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისაკენ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ფართო მასების ყურადღების მობილიზაციისა და სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის შემდგომი ამაღლების მიზნით, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი აცხადებენ სოციალისტური შეჯიბრების **შემდეგ პირობებს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. მოძრავი მექანიზებული კოლონებისათვის

1. ობიექტების დაწესებულ ვადაში და ვადამდე საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება, ხოლო საცხოვრებელი სახლების მიხედვით — საცხოვრებელი ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემის კვარტალური გეგმის შესრულება სამუშაოთა კარგი და ჩინებული ხარისხით.

სამუშაოების სახეობათა მიხედვით სპეციალიზებული ორგანიზაციებისათვის — სამონტაჟო და სპეციალურ სამუშაოთა წარმოების იმ გრაფიკების შესრულება, რომლებიც შედგენილია ამ ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის და გენერალური მოიჯარის მიერ დამტკიცებული ვადების შესაბამისად, სამუშაოთა კარგი და ჩინებული ხარისხით (სამონტაჟო და სპეციალურ სამუშაოთა წარმოების გრაფიკები დადასტურებულ უნდა იქნას გენერალური მოიჯარის ცნობებით).

2. სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების კვარტალური დავალების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება და ზეგეგმითი დაგროვების უზრუნველყოფა კვარტალის განმავლობაში და წლის დამდეგიდან მუშაობის შედეგების მიხედვით.

3. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, მათ შორის სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა, კვარტალური გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

4. შრომის ნაყოფიერების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, როდესაც ერთი მომუშავის გამომუშავების ზრდა წინ უსწრებს საშუალო ხელფასის ზრდას.

5. ძირითადი სახის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის იმ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, რომლებიც დამტკიცებულია მოცემული ორგანიზაციის გეგმით, და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებში ახალი ტექნიკის დანერგვა.

II. სამრეწველო საწარმოებისათვის

1. ნაკეთობათა მოცემული ძირითადი ნომენკლატურის მიხედვით საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების საანგარიშო კვარტალის გეგმის და დაწესებულ ვადებში მშენებლობებისათვის მისი მიწოდების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

2. ფაქტიურად გამოშვებული ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების შემცირების კვარტალური დავალების მთლიანად და გადაჭარბებით განაღდება და ზეგეგმითი დაგროვების უზრუნველყოფა კვარტალის განმავლობაში და წლის დამდეგიდან მუშაობის შედეგების მიხედვით.

3. მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, წუნისაგან დანაკარგების შემცირება წინა კვარტალის დონესთან შედარებით და რეკლამაციების რაოდენობის შემცირება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. შრომის ნაყოფიერების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, როდესაც ერთი მომუშავის გამომუშავების ზრდა წინ უსწრებს საშუალო ხელფასის ზრდას.

5. ახალი ტექნიკის ათვისების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება:

— კოლექტივების მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება, კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრების მდგომარეობა;

— საანგარიშო კვარტალში მუშათა ხელფასის იმ ფონდის ხარჯვა, რომელიც გადაანგარიშებულია საკუთარი ძალებით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობაზე;

— ძირითადი საშენი მასალების ხარჯვა სამუშაოთა შესრულებულ მოცულობაზე საანგარიშო კვარტალში ნატურალური მაჩვენებლებით;

— შემოსულ, აგრეთვე დანერგილ რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა რაოდენობა და მათი დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომია;

— შრომის დისციპლინის მდგომარეობა;

— შრომის დაცვის მდგომარეობა;

— გამომუშავების დაწესებული სადირექტივო ნორმების შესრულება და ძირითადი სამშენებლო მანქანების უკეთ გამოყენება.

III. დაჯილდოების წესი

1. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებად ითვლებიან იმ მოძრავი მექანიზებული კოლონებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივები, რომლებიც საანგარიშო კვარტალში მიაღწევენ საუკეთესო შედეგებს სოციალისტური შეჯიბრების ამ პირობების შესრულების საქმეში.

2. სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს საბუღალტრო ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე შეაჯამებენ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო და მშენებლობისა და საშენი მასალების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ყოველკვარტალურად, საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის არა უგვიანეს 26 რიცხვისა და განსახილველად წარუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს.

3. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივს გადაეცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლექტივებს, რომლებმაც შეჯიბრებაში მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს, მიეცემათ მეორე და მესამე ფულადი პრემიები.

4. პრემიების საერთო თანხიდან 60-70 პროცენტი გაიცემა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის და 30-40 პროცენტი — კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. პრემიის იმ ოდენობიდან, რაც 2 ათას მანეთს არ აღემატება, ანარიცხები კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებებისათვის არ იწარმოებს.

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი სახსრები უნდა შეადგენდეს ისეთ თანხას, რომელიც იქნება მათი ხელფასის პროპორციული საწარმოებისა და მშენებლობების მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში.

ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, მთავარი ინჟინრები და მთავარი ბუღალტრები შეიძლება დაჯილდოებულ იქნან: როდესაც საწარმოს მიენიჭება პირველი პრემია — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე, მეორე პრემია — 40 პროცენტამდე და მესამე პრემია — 30 პროცენტამდე.

სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების მთელი სახსრების ხარჯვას ეწევიან საწარმოთა ხელმძღვანელები პროფკავშირის სამშენებლო და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან შეთანხმებით.

---

53 საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 11 ივნისი, № 357.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს 1966 წლის
11 ივნისის № 357 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური შეჯიბრებისა

ახორციელებს რა პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და სკკპ პროგრამას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ, საბჭოთა ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საქმეში.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სამრეწველო წარმოების ზრდაში, ადგილობრივი ნედლეულისა და მასალების გამოყენებაში, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

შეგნებული აქვთ რა რესპუბლიკის მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების დიდი მნიშვნელობა, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წლების სახელმწიფო გეგმის ვადამდე და ხარისხიანად შესრულებისათვის.

მხარს უჭერენ რა მშრომელთა ინიციატივას, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივები და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის კომიტეტი აცხადებენ სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს, რომელთა თანახმად გამარჯვებულებად ჩაითვლებიან საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები, რომლებმაც უზრუნველყვეს საუკეთესო შედეგები სახელმწიფო გეგმების და დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

I. ძირითადი პირობები

1. პროდუქციის, მათ შორის უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა, თვითღირებულების შემცირება, ხოლო იქ, სადაც იგი არ არის, გეგმური თვითღირებულების შემცირება.

2. საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულება მოცემული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის, ახალი სახის ნაკეთობათა გამოშვების გეგმების შესრულება.

4. შრომის ნაყოფიერების გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

5. პროდუქციის რეალიზაციის, სხვა ეკონომიური რაიონებისათვის, საერთო-სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის მისი მიწოდების, ბაზრისათვის საქონლის მიწოდების და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის კოოპერირებული მიწოდების გეგმის შესრულება დაწესებული ასორტიმენტით, ნატურალური და ჯამობრივი გამოხატულებით.

6. საწარმოს ძირითადი და საბრუნავი ფონდების გამოყენება.

7. გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, აგრეთვე რეკლამაციებისა და მზა ნაკეთობათა დაბრუნების შემთხვევების უქონლობა, წუნისაგან დანაკარგების შემცირება გეგმით დასაშვებ ან წინა კვარტალის დანაკარგთან შედარებით (გეგმის უქონლობისას).

8. პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

9. ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ხვედრითი ნორმების შემცირება.

10. საანგარიშო კვარტალში და წლის დამდეგიდან ხელფასის ფონდის შედარებითი გადახარჯვის აღმოფხვრა.

11. ავარიის შემთხვევების აღმოფხვრა.

12. უსაფრთხობის ტექნიკის საშუალებათა ათვისება და განსაკუთრებით მძიმე შედეგებიანი უბედური შემთხვევების უქონლობა.

13. ზეგეგმითი მოგების თავისუფალი ნაშთი ბალანსით საანგარიშო კვარტალის დამლევისათვის და წლის დამდეგიდან გეგმურ-მომგებიან საწარმოებში ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისაგან მიღებული ზეგეგმითი ეკონომიის თანხის თავისუფალი ნაშთი საანგარიშო კვარტალის დამლევისათვის და წლის დამდეგიდან გეგმიან-საზარალო საწარმოებში.

მაჩვენებლები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს

1. საწარმოთა მუშაობის რიტმულობა.

2. ზენორმატიული ნაშთების, მათ შორის მზა პროდუქციის ნაშთების, უქონლობა.

3. საწარმოო ტრავმატიზმის, დაავადებულობისა და შრომის დისციპლინის მდგომარეობა.

4. საწარმოო სიმძლავრეთა, ძირითადი ფონდებისა და საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება.

5. ისეთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვა, რომლებიც მიღებული და შეტანილია გეგმაში ზემდგომი ორგანიზაციების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საწარმოს კოლექტივის შიერ ნაკისრებ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მდგომარეობა, შეჯიბრების თვალსაჩინოება და ფართოდ გაშუქება.

7. საცხოვრებელი სახლის, კულტსაყოფაცხოვრებო შენობა-ნაგებობათა და მოწყობილობის კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულება დაწესებულ ვადებში.

პრემიების მინიჭებისა და გაცემის წესი

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა კოლექტივების წასახალისებლად დაწესებულია:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით;

— საქართველოს კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ორი გარდამავალი წითელი დროშა პირველი ფულადი პრემიებით;

ორი მეორე ფულადი პრემია;

ორი მესამე ფულადი პრემია.

Г-3009

საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს პრემიები მიეცემათ იმ ოდენობით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 იანვრის № 38/11-3 დადგენილებით, წარმოების პროფილის მიხედვით.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეჯამდება ყოველკვარტალურად.

სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშების, მეორე და მესამე ფულადი პრემიების მიკუთვნება იწარმოებს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება იწარმოებს სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარდგენით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მასალები განიხილება საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის არა უგვიანეს 27 რიცხვისა.

შეჯიბრებაში გამარჯვებულ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას: იმ საწარმოებში, სადაც დარიცხული პრემია შეადგენს 2 ათას მანეთზე ნაკლებს, — გამოყოფილი თანხის 100 პროცენტამდე, სადაც დარიცხული პრემია 2 ათას მანეთს აღემატება, — საწარმოსათვის დარიცხული პრემიის 60—70

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცენტამდე. პრემიის დანარჩენი ნაწილი გამოყენებულ იქნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი შენობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის.

მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი სახსრები უნდა შეადგენდეს თანხას, რომელიც იქნება ხელფასის ფონდის პროპორციული საწარმოს მუშაკთა ხელფასის საერთო ფონდში.

საწარმოთა დირექტორები, მათი მოადგილეები, მთავარი ინჟინრები და მთავარი ბუღალტრები შეიძლება დაჯილდოებულ იქნან: როდესაც საწარმოს მიეკუთვნება პირველი პრემია — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე, როდესაც მიეკუთვნება მეორე პრემია — 40 პროცენტამდე და მესამე პრემია — 30 პროცენტამდე.

საწარმოთა ხელმძღვანელებისათვის პრემიების ოდენობას დააწესებს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო საქართველოს კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით. გათვალისწინებული მაჩვენებლების შეუსრულებლობისას საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შეიძლება ჩამოერთვათ პრემია ნაწილობრივ ან მთლიანად.

მუშათა, სპეციალისტთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინდივიდუალურ დაჯილდოებას, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად განკუთვნილი სახსრების ხარჯვას აწარმოებენ საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელები პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო (ადგილობრივ) კომიტეტთან შეთანხმებით.

სოციალისტური შეჯიბრების მიხედვით პრემიები საწარმოთა კოლექტივებს მიეცემათ ზეგეგმითი მოგების ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისაგან შემოსული იმ ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რაც საწარმომ მიიღო კალენდარული წლის დამდეგიდან.

საქართველოს კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო მოუწოდებენ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წლების გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

54 საქართველოს სსრ-ში კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობის წესებში ზოგიერთი დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით კოლმეურნეთათვის გათვალისწინებული და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილებით საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლად მცხოვრებ სხვა მუშა-მოსამსახურეებისათვის დაწესებული საკარმიდამო ნაკვეთების ნორმამდე დაყვანისას კოლმეურნეს ან მუშა-მოსამსახურეს საკარმიდამო მიწა აღმოაჩნდება ნორმაზე მეტი 0,03 ჰექტარამდე, რომლის გამოყენება კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას არ შეუძლია და სხვა პირებზე გადაცემაც არ ხერხდება, დარჩეს კოლმეურნის ან მუშა-მოსამსახურის ფაქტიურ სარგებლობაში და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერისას ეს მეურნეობები არ იქნეს მიჩნეული მიწათსარგებლობის არსებული კანონის დამრღვევებად.

2. კოლმეურნეობათა ბაზაზე შექმნილ საბჭოთა მეურნეობების ის მუშები და მოსამსახურენი (ყოფილი კოლმეურნეები), რომელთაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილებით დაეტოვათ საკარმიდამო ნაკვეთები იმ ოდენობით, რაც მათ ჰქონდათ კოლმეურნეობებში, მაგრამ არა უმეტეს 0,50 ჰექტარისა, არ იქნან მიჩნეული მიწათსარგებლობის კანონის დამრღვევებად, იმ შემთხვევაში, თუ მათი საკარმიდამო ნაკვეთები ნორმაზე მეტი აღმოჩნდა 0,01-0,02 ჰექტარით, ე. ი. იმ ფართობით, რაც ფაქტიურად საცხოვრებელ ნაგებობას უკავია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 21 მაისი, № 301.

ეროვნული ბიბლიოთეკა

55 იმ საბუთების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხას იმ საბუთებისა, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების საფუძველზე, დაემატოს 39 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„39. იმ საბუთებზე, რომლებითაც დადგენილია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების მიერ საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიღებული სესხის დავალიანება.

აღნიშნულ საბუთებზე სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნას:

ა) მოვალის ვალდებულების დედანი;

ბ) მოვალის პირადი ანგარიშიდან ამონაწერი ვადაგადაცილებული დავალიანების თანხის აღნიშვნით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 27 მაისი, № 318.

56 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სია, რომელთა სახლებიდან, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველების 62 მუხლის შესაბამისად, დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება საკუთარი სურვილით, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტმოქმედების ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„67. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 27 მაისი, № 319.

57 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიას, რომელთა სახლებიდან, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებია მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, — შემდეგი შინაარსის პუნქტები:

„68. თბილისის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა.

69. თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკა.

70. ბათუმის რაიონის მახვილაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 4 ივნისი, № 342.

ეროვნული ბიბლიოთეკა

58 მოსახლეობაში ბოსტნეულის ნამეტის შესყიდვის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 2 ივლისის № 414 დადგენილებისა „მოსახლეობისაგან კარტოფილისა და ბოსტნეულის ნამეტი პროდუქციის შესყიდვის შესახებ“ დაწესდეს, რომ ცეკავშირის სისტემა აწარმოებს ბოსტნეულის ნამეტის შესყიდვას მოსახლეობისაგან რესპუბლიკის ყველა რაიონში.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველომ დახმარება გაუწიონ ცეკავშირს მოსახლეობისაგან შესყიდული ბოსტნეულის რაიონებიდან გამოზიდვის საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩიტაიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 6 ივნისი, № 348.

59 საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 11 ივნისი, № 355.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 11 ივნისის № 355
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56 და 58 მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ძირითადი ამოცანაა სამინისტროსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისადმი დაქვემდებარებული ადგილობრივი მრეწველობის ყოველმხრივ განვითარება.

ამ ამოცანის შესაბამისად, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო:

ა) შეადგენს სამრეწველო წარმოების, შრომის, თვითღირებულების, კაპიტალურ დაბანდებათა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების, ფინანსების პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, აგრეთვე უზრუნველყოფს მთავრობის მიერ დამტკიცებული საწარმოო და საფინანსო გეგმების და საქალაქო (რაიონული) სამრეწველო კომბინატების და სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალური მშენებლობის გეგმების მაჩვენებლების შემოწმებასა და შესრულებას;

ბ) შეიმუშავებს და ფასების კომიტეტს წარუდგენს მასალებს ქვესაუწყებო საწარმოების მიერ დამზადებული პროდუქციის ფასების დასამტკიცებლად, განახორციელებს იმისადმი კონტროლს, თუ რამდენად სწორად უფარდებენ ფასებს საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

გ) დაამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში შეცვლის დადგენილი წესით საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების, კაპიტალურ დაბანდებათა და სხვა მაჩვენებელთა დავალებებს სამინისტროსათვის დაწესებულ გეგმურ დავალებათა ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაუწესებს სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს დამატებით დავალებებს;

დ) შეიტანს სახალხო მოხმარების ცალკეული სახის საქონლის წარმოების გეგმებში ცვლილებებს, რაც დაკავშირებულია იმ საქონლის წარმოების შემცირებასთან სავაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნით, რომელიც მოსახლეობის განსაზღვრული მოთხოვნილებით სარგებლობს, შესაბამისად გაადიდებს ისეთი საქონლის წარმოებას, რომელზედაც არსებობს გადიდებული მოთხოვნილება, საჭირო შესწორებებს შეიტანს გეგმის სხვა მაჩვენებლებში ისე, რომ ამან არ შეამციროს დაგროვებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმა მთლიანად სამინისტროს სისტემაში, რასაც შემდგომ აცნობებს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) მიიღებს სამინისტროს არაქვესაუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, ისე, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულებას, შეკვეთებს სახელმწიფო გეგმით გაუთვალისწინებელი პროდუქციის დამზადების შესახებ შემკვეთის მასალისაგან, ადგილობრივი ნედლეულისა და სათბობის და წარმოების ნარჩენების გამოყენებით;

ვ) შეცვლის მომხმარებელთა თხოვნით წარმოების წლიურ მოცულობასა და ნაკეთობათა ნომენკლატურას, რომელთა დამზადების გეგმა დამტკიცებულია უშუალოდ სამინისტროს მიერ, ამასთან შესაბამისად შეცვლის შრომის, თვითღირებულებისა და დაგროვების გეგმას ისე, რომ არ შემცირდეს საბიუჯეტო გადასახდელები, რასაც შემდგომ აცნობებს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს;

ზ) დაამტკიცებს სამრეწველო წარმოების, შრომის, პროდუქციის თვითღირებულების, კაპიტალურ დაბანდებათა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების გეგმებს რაიონული (საქალაქო) სამრეწველო კომბინატებისათვის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოსათვის;

თ) დაგეგმავს ადგილობრივი მრეწველობის სამრეწველო საწარმოთა ფინანსებს, შექმნის ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ცენტრალიზებულ ფონდს და წარმართავს ამ ფონდს დანიშნულებისამებრ;

ი) დაამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისად, საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების შემოსავალ-გასავლის ბალანსებს (საფინანსო გეგმებს), აგრეთვე საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებს, რასაც აცნობებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს;

კ) შეცვლის გეგმური მოგებისა და საბრუნავი სახსრების ნორმატივების ოდენობას საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სამეურნეო გეგმების შეცვლის შესაბამისად, მოგებისა და საბრუნავი სახსრების ნორმატივების საერთო თანხის ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია სამინისტროს შემოსავალ-გასავლის ბალანსით (საფინანსო გეგმით) ისე, რომ უცვლელი დარჩეს ბიუჯეტთან ურთიერთობა;

ლ) გადაანაწილებს საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების ნამეტს თვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშებით, აგრეთვე მაშინ, თუ შეიცვალა საბრუნავი სახსრების ნორმატივები საფინანსო გეგმების შეცვლასთან დაკავშირებით;

მ) შექმნის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევ რეზერვს წლიური გეგმით დაწესებული საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების 3 პროცენტამდე, მიუხედავად ნორმატივების ზრდის თანხისა, რაც გათვალისწინებულია სამინისტროს შემოსავალ-გასავლის წლიური ბალანსით;

ნ) გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალებათა გადანაწილებისათვის, აგრეთვე საანგარიშსწორებო ანგარიშებს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევი რეზერვის სახსრების მიხედვით;

ო) ნებას დართავს, რომ ჩამოიწეროს საწარმოსა და ორგანიზაციის ბალანსებიდან შეწყვეტილ მშენებლობათა ხარჯები და განუხორციელებელი მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხარჯები 100 ათასი მანეთის ფარგლებში ცალკეული მშენებლობისათვის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

პ) დანერგავს ახალ ტექნიკას და პროგრესულ ტექნოლოგიას, ტექნიკურ გაუმჯობესებებს, გამოგონებებს, რაციონალიზატორულ ღონისძიებებს, საწარმოო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის, მშენებლობისა და სარემონტო სამუშაოებისათვის მოწყობილობის გამოყენების, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის საშუალო-პროგრესულ ნორმებს;

ჟ) უზრუნველყოფს სისტემის საწარმოების საწარმოო სიმძლავრეთა და ადგილობრივი ნედლეულის არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას;

რ) შეიმუშავებს და განახორციელებს სამრეწველო პროდუქციის რენტაბელობის ამაღლებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს;

ს) განახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას დოკუმენტური მასალების დაცვა-შენახვისა, მოწესრიგებისა, აღრიცხვისა და გამოყენებისადმი, მათი შერჩევისა და მოსპობისადმი, კონტროლს გაუწევს საქმისწარმოებისა და არქივების მდგომარეობას საქვეუწყებო დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში; შეიმუშავებს წესებს, ინსტრუქციებს, საქმეების, დოკუმენტურ მასალათა უწყებრივი ნუსხების სანიმუშო ნომენკლატურებს და სხვა ნორმატივებს თავისი სისტემის დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში არქივების მუშაობისა და საქმის წარმოების დაყენების საკითხებზე;

ტ) გაანაწილებს სისტემაში სამინისტროსათვის გამოყოფილი მასალების, ნედლეულისა და მოწყობილობის ფონდებს და უზრუნველყოფს მათ რეალიზაციას; აწარმოებს ნედლეულისა და მასალების საჭირო ცენტრალიზებულ დამზადებას, განახორციელებს კონტროლს ნედლეულისა და მასალების სწორად და მოჰჭირნეობით გამოყენებისადმი, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის სამრეწველო და სხვა საწარმოების პროდუქციის რეალიზაციისა და გასაღებისადმი;

უ) მოაწყობს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კადრების აღრიცხვასა და შერჩევას, მათს მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

ფ) დაამტკიცებს რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებსა და ბალანსებს; შეადგენს სისტემის ნაკრებ საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს; ჩაატარებს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს;

ქ) დაამტკიცებს სამინისტროს საქვეუწყებო რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დებულებებსა და წესდებებს, აგრეთვე დებულებებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა შესახებ;

ღ) გამოსცემს მასალებს სამსახურებრივი სარგებლობისათვის ადგილობრივი მრეწველობის საკითხებზე (ინსტრუქციები, დებულებები, დადებითი გამოცდილების გაზიარების მასალები, გამოგონებანი და ა. შ);

ყ) შექმნის, გადააკეთებს და გააუქმებს დადგენილი წესით მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

შ) ხელმძღვანელობას გაუწევს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას, მოაწყობს წარმოების ნოვატორთა გამოცდილების გაზიარებას, შეიმუშავებს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ხელფასის ნორმირების საკითხებს, ჩაატარებს მუშაობას კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისა და მათი შესრულების შემოწმებისათვის, განახორციელებს შრომისა და უსაფრთხობის ტექნიკის დაცვის ღონისძიებებს.

3. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 52 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო განახორციელებს ადგილობრივი მრეწველობის ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების რაიონული (საქალაქო) სამრეწველო კომბინატების მეშვეობით, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ისე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების შესაბამის აღმასკომებს, აგრეთვე ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

4. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

5. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი უზრუნველყოფს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ სამინისტროს საქმიანობის საკითხებზე მიღებული დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარუდგენს პროექტებს დადგენილებებისა და განკარგულებებისა ადგილობრივი მრეწველობის საკითხებზე.

6. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 53 მუხლის შესაბამისად, გამოსცემს მისთვის მინიჭებული უფლებებისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებს, განკარგულებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების, განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად, ამასთან შეამოწმებს მათს შესრულებას.

7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი შეაჩერებს ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის მინისტრების ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესრულებას და გაუქმებს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი მრეწველობის მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, აგრეთვე სამინისტროს სისტემის დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის მინისტრების ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების საკითხს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი შეიტანს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

8. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი დანიშნავს და თანამდებობიდან დაითხოვს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, მთავარ ინჟინრებს, მთავარ (უფროს) ბუღალტრებს, დაწესებული ნომენკლატურის თანახმად; დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი მრეწველობის მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა დანიშვნას, გარდა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაქვემდებარებისა.

სამრეწველო კომბინატების დირექტორებს, დირექტორთა მოადგილეებს, ტექნიკურ ხელმძღვანელებს (მთავარ ინჟინრებს) და უფროს ბუღალტრებს დანიშნავს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების წარდგენით.

9. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის თავმჯდომარეობით; კოლეგია განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებისა და სახელმძღვანელო მასალების პროექტებს, ანგარიშებს სამინისტროს სტრუქტურული ქვეგანაყოფების, აგრეთვე სისტემის დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მინისტრის წარდგენით. კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება მინისტრის ბრძანებით.

მინისტრსა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კოლეგიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან არსებობს: სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო და გამომგონებლობის ბიურო, რომელთა პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს მინისტრი; უწყებრივი არბიტრაჟი, რომელიც მოქმედებს მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

11. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი საჭირო შემთხვევებში, ხელმძღვანელ და ძირეულ მუშაკთა და წარმოების მოწინავეთა გამოცდილების უკეთ გამოყენების მიზნით, მოიწვევს აქტივის თათბირებს, ამ თათბირებზე განიხილავენ ზემდგომი ორგანოების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებსა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც მიმართულია ამ გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფისაკენ, აგრეთვე განიხილავენ სისტემის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებს.

12. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სტრუქტურასა და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

13. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

---

60 იმის შესახებ, რომ დაიდოს მოსახლეობასთან ხელშეკრულება ხილის შესყიდვის თაობაზე და გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის დაინტერესება სახელმწიფოსათვის თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის მიყიდვის გაზრდით.

იმ მიზნით, რომ ორგანიზებულად ჩატარდეს იმ თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის შესყიდვა მოსახლეობისაგან, რომელიც მათ საკარმიდამო ნაკვეთებზე მიიღეს, და გაეწიოს მათ დახმარება ამ პროდუქტების ნამეტის რეალიზაციის საქმეში, რათა ისინი არ მოსცდნენ საწარმოო მუშაობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე იმ მიზნით, რომ შესრულდეს ხილის შესყიდვისა და საერთო-საკავშირო ფონდისათვის მიწოდების გეგმები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ რესპუბლიკის დამამზადებელი ორგანიზაციები შეისყიდიან საკარმიდამო ნაკვეთებზე მიღებულ 1966 წლის მოსავლის თესლოვან და ციტრუსოვან ნაყოფს კოლმეურნეობებთან, მუშებთან და მოსამსახურეებთან დადებული ხელშეკრულებით.

2. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი ტიპობრივი ხელშეკრულებისა მოსახლეობაში თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის კონტრაქტაციის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საქმთავარკონსერვხილბოსტანს“, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიაღმასკომებსა და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს ორი თვის ვადაში უზრუნველყონ ხელშეკრულებების დადება მოსახლეობასთან თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის შესყიდვის შესახებ იმ რაოდენობით, რაც არ უნდა იყოს 1966 წლის გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლები.

4. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების დაინტერესება სახელმწიფოსათვის თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის ხარისხობრივად უფრო ძვირფასი პროდუქციის მიყიდვის გადიდებით, დაწესდეს, რომ მათ მიეცემათ 1966 წელს შესასყიდი ფასების დანამატი სტანდარტული ნაყოფის მიყიდვისათვის იმ რაოდენობის გადამეტებით, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით:

ა) 50 პროცენტით — თესლოვანი ნაყოფისათვის — პირველი და მეორე ხარისხის პირველი პომოლოგიური ჯგუფის ვაშლი, მსხალი, გარდა „კიფერის ნათესარისა“, „ანჟუის მზეთუნახავისა“ და ყველა კულტურული ჯიშის მსხლისა, რომლებიც შედიან მესამე პომოლოგიურ ჯგუფში;

ბ) 30 პროცენტი — ციტრუსოვანი ნაყოფისათვის.

5. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 მაისის № 328 დადგენილებით დაწესებული ფულადი ფასდაკლება და ფულადი დანამატი ვაშლისა და მსხლის შესასყიდი ფასებისა 20 პროცენტის რაოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 13 ივნისი, № 363.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწონებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 13 ივნისის № 363
დადგენილებით

საკონტრაქტაციო ხელშეკრულება

მოსახლეობისაგან თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის შესყიდვის შესახებ

1966 — წ. ——————————————— სოფელი
ქალაქი

„საქხილბოსტანი“ ——————————————————

დამამზადებელმა კანტორამ შემდეგში „დამამზადებლად“ წოდებულმა ———

———————————————————————————

(თანამდებობა, გვარი, ინიციალები)

———————————————————————————

(იმ დოკუმენტის დასახელება, რომელიც იძლევა ხელშეკრულების დადების უფლებას)

ერთი მხრივ და - ——————————————————

———————————————————————————

(გვარი, სახელი, მამის სახელი, სოფლის — ქალაქის დასახელება)

შემდეგში „ჩამბარებლად“ წოდებულმა, მეორე მხრივ, დავდეთ ეს ხელშეკრულება 196 წლის მოსავლის თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის კონტრაქტაციის შესახებ.

I. ჩამბარებელი მოვალეა:

1. მიჰყიდოს დამამზადებელს 196 წლის მოსავლიდან

ვაშლი სტანდარტული ——————— ცენტნერი
მსხალი სტანდარტული ——————— ცენტნერი
კომში სტანდარტული ——————— ცენტნერი
ციტრუსოვანი ნაყოფი სტანდარტული:
მანდარინი ——— ცენტ., ფორთოხალი ——— ცენტ.
და ლიმონი ——————— ცალი.

ჩასაბარებელი პროდუქციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს რესპუბლიკური ტექნიკური პირობების მოთხოვნებს; ჩაბარებული არასტანდარტული თესლოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფი არ ჩაითვლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის შესრულების ანგარიშში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აწარმოოს ცალკეული პომოლოგიური ჯიშების ნაყოფის კრეფა სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოს და დამამზადებელი ორგანიზაციის მიერ ერთობლივად დაწესებული ვადების თანახმად.

3. აწარმოოს საკუთარი საშუალებებით ნაყოფის მიტანა _____ _____ დამამზადებელ პუნქტში, საფუთავ ქარხანაში, ამასთან არ დაუშვას ცალკეული პომოლოგიური ჯიშების არევა.

4. არ მიჰყიდოს ნაყოფი სხვა ორგანიზაციებსა და პირებს ამ ხელშეკრულების შესრულებამდე.

5. დაამთავროს ჩაბარება თესლოვანი ნაყოფისა არა აგვიანეს 1 დეკემბრისა და ციტრუსოვანი ნაყოფისა არა უგვიანეს 10 დეკემბრისა.

II. დამამზადებელი მოვალეა:

6. უზრუნველყოს ჩაბარებელი სამუშაო ტარით და აწარმოოს ნაყოფის შეუფერხებლივ მიღება (მიტანის დღეს) დაწესებულ შესასყიდ ფასებში.

7. აუნაზღაუროს ჩამბარებელს ჩაბარებული პროდუქციისათვის პირველი პომოლოგიური ჯგუფის ვაშლში და პირველი და მეორე პომოლოგიური ჯგუფის მსხალში პირველი და მეორე ხარისხის სტანდარტული თესლოვანი ნაყოფის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის ზევით დანამატი დამტკიცებული შესასყიდი ფასების გადამეტებით 50 პროცენტი, ხოლო სტანდარტული ციტრუსოვანი ნაყოფისათვის 30 პროცენტი.

შენიშვნა: გათვალისწინებული დანამატი არ ვრცელდება „კეიფერის“ თესლნერგის ჯიშის და „ანჟუის მზეთუნახავის“ ჯიშის მსხალზე.

8. აწარმოოს ნაღდი ანგარიშსწორება ჩამბარებელთან ნაყოფის ჩაბარების დღეს, მაგრამ არა უგვიანეს ხუთი დღისა პროდუქციის ჩაბარების დროიდან.

III. მხარეთა პასუხისმგებლობა:

9. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ შემდეგი მატერიალური პასუხისმგებლობა:

ა) პროდუქციის ჩაბარების ვადის გადაცილებისათვის ან მისი ჩაუბარებლობისათვის ხელშეკრულებით დაწესებულ ვადებში პირველი ათი დღის ფარგლებში ჩამბარებელი იხდის საურავს 0,01 პროცენტის რაოდენობით.

როდესაც ვადა გადაცილებულია 10 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ჩამბარებელი უხდის დამამზადებელს, საურავის გარდა, პირგასამტეხლოს ჩაუბარებელი პროდუქციის ღირებულების ორ პროცენტამდე.

საურავი და პირგასამტეხლო აღნიშნული რაოდენობით გადახდება ჩამბარებელს პროდუქციის დანაკლისისათვისაც ხელშეკრულებით დაწესებული ასორტიმენტის ცალკეული დასახელების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმჯობესებული ასორტიმენტისა და ხარისხის პროდუქციის მიყიდვა. ეიწვევს დაწესებული სანქციების გამოყენებას იმ პროდუქციის მიხედვით, რომლის ანგარიშში იგი იყიდება.

ჩამბარებელი თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებანი არ ყოფილა შესრულებული სტიქიური უბედურების გამო ან დამამზადებლის მიზეზით.

10. იმ პროდუქციის მიღებაზე უარის თქმისათვის, რომელიც მეურნეობამ წარადგინა ჩასაბარებლად ხელშეკრულების შესაბამისად და მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ანდა მისი მიღების ვადის გადაცილებისათვის დამამზადებელი უხდის ჩამბარებელს პირგასამტეხლოს მიუღებელი ანუ ვადის გადაცილებით მიღებული პროდუქციის ღირებულების სამი პროცენტის რაოდენობით და აუნაზღაურებს პროდუქციის მიტანის (იქით და აქეთ) ხარჯებს, აგრეთვე ჩამბარებლისათვის მიყენებულ ზარალს (პროდუქციის ხარისხის შემცირება, სატრანსპორტო საშუალებათა მოცდენა მიღების მოლოდინში და ა. შ.).

სწრაფფუჭებადი პროდუქციის მიღებაზე უარის განცხადების შემთხვევაში დამამზადებელი, პირგასამტეხლოს გარდა, აუნაზღაურებს ჩამბარებელს პროდუქციის სრულ ღირებულებას და მისი მიტანის ხარჯებს.

11. მიღებული პროდუქციის ფასის არათავისდროზე გადახდისათვის დამამზადებელი უხდის ჩამბარებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეში საურავს მიღებული პროდუქციის ღირებულების 0,01 პროცენტის რაოდენობით.

როდესაც ვადა გადაცილებულია ათ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში, საურავის დარიცხვა შეწყდება და დამამზადებელი უხდის ჩამბარებელს დარიცხული საურავის გადამეტებით პირგასამტეხლოს დროზე გადაუხდელი თანხის 2 პროცენტის რაოდენობით.

12. თუ მეურნეობა არ იქნა უზრუნველყოფილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტარით, დამამზადებელი უხდის ჩამბარებელს ჯარიმას ნაკლმოწოდებული ტარის ღირებულების 50 პროცენტის რაოდენობით.

13. საურავის, პირგასამტეხლოს და ჯარიმის გადახდის მიუხედავად, დამნაშავე მხარე აუნაზღაურებს მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მიყენებულ ზარალს.

14. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ საკითხებზე მხარეები ხელმძღვანელობენ სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით.

15. ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი დავა გადაწყდება დადგენილი წესით.

16. ხელშეკრულება შედგენილია სამ ცალად, რომელთაგან ერთი ინახება ჩამბარებელთან, მეორე ცალი — დამამზადებელთან, ხოლო მესამე — სასოფლო საბჭოში.

ხელმოწერა:

ჩამბარებელი ———————— დამამზადებელი ————————

ეროვნული ბიბლიოთეკა

61 საქართველოს სსრ თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის სახელმწიფო შესყიდვის 1966 — 1970 წლების გეგმისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის შესყიდვის წესის დაზუსტების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დასამზადებელი და სარეალიზაციო ნაყოფის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 დეკემბრის № 920 დადგენილების შესაცვლელად, დაწესდეს, რომ 1966 წლის მოსავლიდან დაწყებული, თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა დამტკიცდება მხოლოდ სტანდარტული პროდუქციისათვის, ხოლო შესყიდული არასტანდარტული ნაყოფი არ ჩაითვლება ამ გეგმის შესრულებაში.

ზემოაღნიშნულის გამო, დამტკიცდეს სტანდარტული თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფის 1966-1970 წლების სახელმწიფო შესყიდვის გეგმა დანართით* გათვალისწინებული რაოდენობით, მეურნეობათა კატეგორიებისა და რაიონების მიხედვით.

ნება დაერთოს „საქმთავარკონსერვხილბოსტანს“ შეისყიდოს კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობებისაგან, აგრეთვე მოსახლეობისაგან არა სტანდარტული ნაყოფი ხმელი ხილის (ჩირის) და წვნის გამოსაშვებად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და „საქმთავარკონსერვხილბოსტანმა“ ერთი თვის ვადაში შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი იმ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებაში, რომლებიც დადებულია 1966 წლისათვის კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, სტანდარტული ნაყოფის შესყიდვის იმ გეგმების შესაბამისად, რომლებიც მათ რაიაღმასკომებმა დაუგზავნეს.

2. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მიერ მოსახლეობისაგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის შესყიდვის მოწესრიგების მიზნით, დაწესდეს, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია — ცეკავშირი შეისყიდის კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან შეთანხმებით დადგენილ ფასებში კურკოვანი, თესლოვანი და სუბტროპიკული ნაყოფის, სუბტროპიკული ხურმის, ბაღჩეული კულტურების, კაკლისა და თხილის, გარეული ხილისა და კენკრის ნამეტს მას შემდეგ, რაც რესპუბლიკაში შესრულდება სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები (საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესრულების გათვალისწინებით), იმ პირობით, რომ შესრულდეს მთლიანად კურკოვანი და თესლოვანი ნაყოფის, აგრეთვე მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 10 თებერვლის № 76 დადგენილების I პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 17 ივნისი, № 367.

62 საქართველოს სს რესპუბლიკაში აშენებულ საუკეთესო საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა ყოველწლიური კონკურსების ჩატარების შესახებ

(ამონაკრები)

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხი, წახალისებულ იქნან სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციები, აგრეთვე მშენებლები და პროექტების ავტორები შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის ამაღლებისათვის, მშენებლობაში ეკონომიური კონსტრუქციების, სამშენებლო ტექნიკის ახალი მიღწევების დანერგვისათვის, მშენებლობის ვადების შემცირებისა და ასაგებ შენობათა ინდუსტრიალიზაციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ კ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, 1967 წლიდან დაწყებული, ყოველწლიურად ჩაატაროს საქართველოს სს რესპუბლიკაში აშენებულ საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა კონკურსი.

2. დაწესდეს საქართველოს სსრ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში და კურორტებზე აშენებული საუკეთესო საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობებისათვის შემდეგი პრემიები:

ა) საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სახლების კომპლექსებისათვის:

ერთი პირველი პრემია	— 1,6	ათასი მანეთი
ერთი მეორე პრემია	— 1,4	„ „
ორი მესამე პრემია	— 1,2	„ „

ბ) კინოთეატრებისა, საავადმყოფოებისა, სკოლებისა, საბავშვო დაწესებულებებისა, სანატორიუმებისა, კულტურის სახლებისა, კლუბებისა, ადმინისტრაციული სახლებისა, ინსტიტუტებისა და სხვა სამოქალაქო შენობებისათვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი პირველი პრემია — 1,6 ათასი მანეთი
ერთი მეორე პრემია — 1,4 „ „
ერთი მესამე პრემია — 1,2 „ „

3. პრემიების მინიჭებასთან ერთად, სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების კოლექტივები დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელით.

5. იმ ობიექტებზე, რომლებმაც კონკურსში პირველი პრემია მიიღეს, აგრეთვე უნიკალურ ან ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტებზე, რომელთა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულებულია ჩინებული ხარისხით, კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებით დაიდგას ფასადის კედელზე სამახსოვრო დაფები სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების, აგრეთვე მშენებლებისა და პროექტის ავტორების აღნიშვნით.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და სახმშენმა, 1967 წლიდან დაწყებული, ყოველწლიურად გაითვალისწინონ საქართველოს სსრ სახმშენის ხარჯების ხარჯთაღრიცხვით საჭირო თანხები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აშენებულ საუკეთესო საცხოვრებელ და სამოქალაქო შენობათა კონკურსის ჩასატარებლად.

საქართველოს სსრ სახმშენმა ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად კონკურსის პირობების პროექტი და დებულება სამახსოვრო დაფების დაყენების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 18 ივნისი, № 371.

63 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. პუნქტი 13 დებულებისა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის იურიდიული განყოფილების, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 24 დეკემბრის № 771 დადგენილებით, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. იურისკონსულტებისადმი მეთოდურ ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გამოირიცხოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის № 204 დადგენილებით დამტკიცებული დებულებიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის შესახებ მე-2 პუნქტის ქვეპუნქტი „ნ“ და პუნქტი 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 21 ივნისი, № 374.

64 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიას, რომელთა სახლებიდან, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებია მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, — შემდეგი შინაარსის პუნქტი:

71. გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 29 ივნისი, № 379.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 1966 ГОД

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VIII-1966 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ქაღალდი 7.000, ნაბეჭდი თაბახი 2,5, სააღრიცხვო თაბახი 2,0.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 2750 შეკვეთა № 803

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187